გორეჯის მაცნე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №4(282) 2023 წ. 16-28 თებერვალი ფასი 1 ლარი

21 თებერვალი – საქართველოს პირველი კონსტიტუციის მიღების დღეა!



საქართველოს კონსტიტუცია, მიღებული 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ. .

კონსტიტუცია დაიბეჭდა 1921 წლის მარტში ბათუმში, ნესტორ ხვინგიას სტამბაში.

თქვენ წინაშე წარმოდგენილია გამოცემის ის ეგზემპლარი, რომელსაც დამფუძნებელი კრების წევრთა ხელმოწერები ახლავს.

კონსტიტუცია ეყრდნობოდა 1918 წლის 26 მაისს მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პრინციპებს.

ი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია,იმდროინდელი მსოფლიო მასშტაბით პროგრესულად აღიარებული დოკუმენტი, 17 თავისა და 149 მუხლისაგან შედგება. ქვეყნის ძირითადი კანონით პოლიტიკურ წყობად განისაზღვრა დემოკრატიული რესპუბლიკა. კონსტიტუციით გარანტირებული იყო ქალთა, რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებები; გაუქმდა სიკვდილით დასჯა.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის პირველი შეკრება 1918 წლის 7 ივნისს გაიმართა. კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს სერგი ჯაფარიძე, კომისიის მდივნად კი - პავლე საყვარელიძე. მრავალპარტიული კომისიის შემადგენლობაში იყვნენ: რაჟდენ არსენიძე, ნოე ჟორდანია, ივანე ჩერქეზიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ დადიანი, გიორგი გვაზავა, კონსტანტინე მაყაშვილი. ზუსტად ერთი თვის შემდეგ კომისიის რამდენიმე წევრი ახალი წევრით ჩაანაცვლეს: ლეო ნათაძე (ნოე ჟორდანიას ნაცვლად), მარიამ ჩხეიძე (ივანე ჩერქეზიშვილის ნაცვლად), ალექსანდრე წერეთელი (გრიგოლ რცხილაძის ნაცვლად), გერონტი ქიქოძე და სპირიდონ კედია (გიორგი გვაზავას ნაცვლად).

დამფუძნებელი კრების არჩევის შემდეგ, 1919 წლის მარტში, შეიქმნა თხუთმეტი წევრისაგან შემდგარი ახალი საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც მანამდე არსებული კომისიის მასალები გადაიბარა და მუშაობა განაგრძო. კომისიის წევრთა შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა. მას ჯერ - რაჟდენ არსენიძე, ხოლო მოგვიანებით პავლე საყვარელიძე ხელმძღვანელობდა.

კონსტიტუციის პროექტი სრული სახით 1920 წლის მაისში დაიბეჭდა და განსახილველად დამფუძნებელი კრების წევრებს დაურიგდათ. პროექტის განხილვას კრების მრავალი სხდომა მიეძღვნა. საბოლოოდ, 1921 წლის 21 თებერვალს, თბილისში გამართულ სხდომაზე საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს პირველი კონსტიტუცია მიიღო. სწორედ იმ დროს ქართული შეიარაღებული ძალები რუსულ არმიას თბილისის მისადგომებთან ებრძოდნენ.

დოკუმენტი ეკუთვნის საქართველოს პარლამენტს და დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი:

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფასები შემცირდეს“

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია,რომ ფასები შემცირდეს,არაგონივრული,მაღალი მარჟებით არ იყიდებოდეს ძირითადი პროდუქტები. ეს ჩვენს მოსახლეობაზე,ჩვენს ხალხზე აისახება,- ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერის თქმით, ფასნამატი 70, 80, ზოგ შემთხვევებში კი, 100%-ით არის გაზრდილი და ეს არის მიუღებელი.

„საკითხი ეხება ჩემ მიერ ორი კვირის წინ გაცემულ დავალებას, რომელიც შეეხებოდა სურსათისა და საწვავის ფასებს. ამის თაობაზე არაერთი შეხვედრა გაიმართა. ეკონომიკის, ფინანსთა და სოფლის მეურნეობის მინისტრები იყვნენ აქტიურად ჩართული. კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელობა მთლიანადაა ჩართული ამ პროცესში. ძალიან ბევრი შეხვედრა გაიმართა როგორც იმპორტიორებთან, ისე დიდ ქსელებთან, რითეილის მფლობელებთან. მინდა კიდევ ერთხელ ავუხსნა ჩვენს ხალხს და საზოგადოებას,- სურათი, რომელიც გამოიკვეთა არის შემდეგი, რომ ის ინფორმაცია, რაც მე გავაჟღერე, ანუ ჯამურად, საერთო შეწონილი, გამოდის ისე, რომ ფასნამატი არის 70, 80, ზოგ შემთხვევებში 100%-ით გაზრდილი და, რა თქმა უნდა, ეს არის მიუღებელი. ამიტომ, ჩვენ ახლა დავიწყეთ აქტიური მუშაობა, თუ როგორ დარეგულირდეს ეს საკითხი.

ჩვენ მოვისმინეთ ასევე იმპორტიორების განმარტებები, რომ აქედან, 70-80-%-იდან, მათი მოგება არ არის, არამედ, ეს გარკვეულწილად დამოკიდებულია რითეილის, ანუ ამ დიდი ქსელების ერთგვარ წესებზე, რომლებიც არის მათ მიერ განსაზღვრული და სწორედ ამ წესებთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს სერიოზული, ლეგიტიმური კითხვები. ეს წესები არ არის აპრობირებული, ევროპაში ასეთი წესები არ მოქმედებს, ეს საკითხი არის დარეგულირებული ევროკავშირის, ევროპის ქვეყნებში, ზოგადად, მთელ დასავლურ სამყაროში“,- განაცხადა პრემიერმა.

ამასთან, ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მისივე დავალებით, ეკონომიკის სამინისტრო მოამზადებს შესაბამის კანონპროექტს, რომელიც შეეხება ევროდირექტივას სამართლიანი ვაჭრობის შესახებ. პრემიერის თქმით, იმპორტიორებს ექნებათ განსაზღვრული მარჟები, ფასნამატები და ასევე „რითეილს“ ექნება თავისი განსაზღვრული წესები.

„ჩემი დავალებით, ეკონომიკის სამინისტრო ახლა მოამზადებს შესაბამის კანონპროექტს, რომელიც შეეხება ევროდირექტივას სამართლიანი ვაჭრობის შესახებ. ამიტომ, ჩვენ პარალელურად გავაგრძელებთ მუშაობას იმპორტიორებთან, ასევე, დიდი ქსელების წარმომადგენლებთან და, პარალელურად, ჩვენ ასევე წარვუდგენთ ამ კანონპროექტს პარლამენტს, და მინდა გამოვთქვა იმედი, რომ პარლამენტის მხრიდან მზაობა იქნება, და ეს დაადასტურეს, და მხარს დაგვიჭერს, რომ ევროდირექტივა, ეს რეგულაციები შემოვიღოთ ჩვენც. სხვანაირად უხეში იქნება ჩვენი მხრიდან რაღაც ხელოვნური ჩარევა განვახორციელოთ. ამიტომ, გამოვნახეთ გზა, რომ ისეთი პრაქტიკა, რომელიც ევროპამ უკვე გაიარა, ჩვენც გადმოვიტანოთ ჩვენს ქვეყანაში. ამით, რეალურად, სამართლიანი წესები დაწესდება. იმპორტიორებს ექნებათ განსაზღვრული მარჟები, ფასნამატები და ასევე რითეილს ექნება თავისი განსაზღვრული წესები. ეს არის გამოსავალი, რაც ამ მოკლე ორკვირიანი მუშაობის შედეგად გამოიკვეთა.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფასები შემცირდეს, არაგონივრული, მაღალი მარჟებით არ იყიდებოდეს ძირითადი პროდუქტები. ეს ჩვენს მოსახლეობაზე, ჩვენს ხალხზე აისახება. ინფლაციაზე როცა ვსაუბრობთ, ინფლაციის გასული თვის მაჩვენებელი იყო 9,4%. აქედან 6,1% არის სურსათის ფასები. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ როგორც კი დარეგულირდება ეს საკითხები, და ეს შეიძლება ძალიან მალე მოხდეს, ინფლაციაც ჩამოვა იმ ნიშნულზე, რომელიც ჩვენ გვაქვს განსაზღვრული, 5% დაახლოებით, ამ წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, ეს სიკეთე აისახება ჩვენი მოსახლეობის, ჩვენი ხალხის ჯიბეზე და მათ შემოსავლებზე. ამიტომ, ამ საკითხზე ასეთი გამოსავალი გამოვნახეთ. მთავრობა მალე გაუგზავნის ამ კანონპროექტს პარლამენტს და, იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე მივიღებთ შესაბამის რეგულაციებს. სხვა შემთხვევაში, უბრალოდ, გამოსავალი არ ჩანს. არ მინდა, რომ ვინმეს გავუჩინოთ განცდა, რომ მთავრობა უხეშად ერევა ბიზნესის საქმიანობაში. ეს ჩვენი ხელწერა და პრაქტიკა არ არის. ასეთი გამოსავალი გამოვნახეთ და ისე, როგორც წამლების შემთხვევაში დავარეგულირეთ და ფასები ჩამოვწიეთ - გაიაფდა 60-80%-ით, შემოვიტანეთ ასევე ევროპული პრაქტიკა რეფერენტულ ფასებთან დაკავშირებით, ასეთივე ევრორეგულაციისა და ევროდირექტივების შემოღება გადავწყვიტეთ და, იმედი გვაქვს, რომ ძალიან მალე დაიწყებს ფასები კლებას“, - განაცხადა პრემიერმა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

24 თებერვალი, 2023 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 თებერვლის მორიგ სხდომას ამავე ***საკრებულოს თავმჯდომარე ალექსი გილაშვილი*** უძღვებოდა.

საკრებულოს დღის წესრიგის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ სხდომამ გადაირჩია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილეები: ოთარ ურდულაშვილი და მაია შიოშვილი. მათ ნაცვლად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ გია ბუჩაშვილი და ლელა ქვრივიშვილი.

სხდომამ მოისმინა და დაამტკიცა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესახებ“ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება.

სხდომამ ასევე დაამტკიცა „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ზონირებისა და ნორმატიული ფასის განსაზღვრის“, „2023 წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით დაფინანსებული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ და „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკითხები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პრესსპიკერის
მარი აზარიაშვილის ფოტოები

მუნიციპალური გვერდი

ინფრასტრუქტურა-2023

ლამაზდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ. საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილზე, მე-11 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

სამუშაოები ეტაპობრივად განხორციელდება და მიმდებარე კორპუსების ფასადების აღდგენით სამუშაოებს სრულად მოიცავს.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

ჩვენი სიმდიდრე

საგარეჯოში ეკოტურიზმის განვითარებისათვის პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ნახევრადუდაბნოს ზონის დამახასიათებელი ლანდშაფტებითა და მცენარეული საფარით, მრავალრიცხოვანი და მდიდარი ისტორიული წარსულის ძეგლებითა და ღირსშესანიშნაობებით, ჩვენში ტურიზმის სხვადასხვა სახეობების განვითარების დიდი პოტენციალის მატარებელია. ამ მხრივ ეკოტურიზმის და საცხენოსნო ტურიზმის საუკეთესო პირობებია ***მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალსა და ახლად შექმნილ ცივ-გომბორის აღკვეთილში,*** რომელთა ტურისტულ ზონად გადაქცევისათვის ეს ბოლო 2-3 წელია ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩატარდა და ახლაც ტარდება, როგორც მუნიციპალიტეტის, ისე საქართველოს მთავრობისა და შესაბამისი უწყების მხრიდან. სწორედ ამ ჩატარებულ სამუშაოებსა და ღონისძიებებზე გვესაუბრება ამ წერილში ***მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უფროსი, მეტყევე-ინჟინერი, ბუნების ქომაგი*** **მურმან ებრალიძე.**

– ბ-ნო მურმან, მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალი, მართალია მაშინ მას ეს სტატუსი არ ჰქონდა, მაგრამ ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს იქცევდა მსოფლიო მეცნიერთა ყურადღებას აქ დაცული უძველესი და უნიკალური კავკასიური რელიქტის – სოსნოვსკის ფიჭვის ხელუხლებელი კორომებით. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ფიჭვის ეს უნიკალური სახეობები გახდა საბჭოთა პერიოდში ამ ნაკრძალის შექმნის საფუძველიც და სხვადასხვა დროს აქ დიდ სამეცნიერო მუშაობას ატარებდნენ არა მხოლოდ ქართველი და რუსი მეტყევე-მეცნიერები, არამედ სხვადასხვა ქვეყნის სწავლულები. ამის თქმით იმას მინდა გავუსვა ხაზი, რომ ამ ნაკრძალს არც ერთ დროს არ აკლდა ვიზიტორები, მაგრამ ეს იყო მეცნიერთა ვიწრო წრე, თავიანთი მეცნიერული ინტერესებით. საზოგადოების უმრავლესობისათვის კი ნაკრძალი „დახურულ ზონას“ წარმოადგენდა. საბედნიეროდ, ახლა ეს ასე ადარ არის და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ ბევრი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა და ახლაც კეთდება ნაკრძალის თანამედროვე ტურისტულ კერად ქცევისათვის, ტურისტული ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ამით ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის კუთხით. ერთ-ერთი ასეთი პროექტი გახლდათ ნაკრძალის ტერიტორიაზე საფეხმავლო ტურისტული ბილიკების მოწყობა, რომელიც გასულ წელს უნდა დამთავრებულიყო. თქვენ ის ადამიანი ხართ, ვისაც ყველაზე მეტჯერ უწევს მარიამჯვარის ნაკრძალში ყოფნა. რას გვეტყვით, დასრულდა თუ არა აღნიშნული ბილიკების მოწყობა?

– როცა ტურისტული ბილიკების მოწყობაზე არის საუბარი, აქ მარტო მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორია არ იგულისხმება, რადგან ეს ბილიკები ნაკრძალიდან ცივ-კოდის აღკვეთილზეც გრძელდება და საგარეჯოში მთავრდება. ალბათ თქვენი გაზეთის მკითხველმა იცის, რომ ცივ-კოდის აღკვეთილი შარშან, ახალი წლის დამდეგისათვის შეიქმნა მარიამჯვარის ნაკრძალისთვის გადმოცემული საგარეჯოს სახელმწიფო ტყეების ხარჯზე, რომელთა საერთო ფართობია 5010 ჰექტარი. აღკვეთილის ტერიტორიებს მიეკუთვნება „სათივარა“, საგარეჯოს სათავე, კოდა, საგარეჯოს, გიორგიწმინდისა და მანავის ცივი, ვიდრე მდინარე კისისხევამდე. აი, ამ ტერიტორიებისა და მარიამჯვარის ნაკრძალის გავლით 2022 წელს ტურისტული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 50 კილომეტრზე მოეწყო ეკოტურისტული ბილიკები და ორი ტურისტული თავშესაფარი, ერთი ნასადგომარ „გოგიტაანში“ და მეორე კოდაზე. თითოეული ეს თავშესაფარი გათვლილია 10 ტურისტზე.

– რომელ ადგილებში გაივლის ტურისტული ბილიკების მაშრუტი და რა ღირსშესანიშნაობების ნახვას შეძლებენ აქ ვიზიტორები?

– ეკოტურისტული ბილიკი იწყება სოფელ მარიამჯვარში, გაივლის „ბაჩიას ტბას“, „ტყემლიანის გორას“, გიორგიწმინდელთა „საგაზაფხულო აგარაკებს“ და ადის ცივ-გომბორის ქედზე. აქედან დასავლეთით გაუყვება ამ მთას და ჩამოდის კოდაზე. კოდიდან ბილიკი უხვევს ბებერი კლდისკენ ჩამოივლის ტყის მასივს და ჩამოდის წმინდა გრიგოლისა და მთავარმოწამის სალოცავებთან. აქედან კი მახიას გავლით ჩამოდის საგარეჯოში. ამ ბილიკზე მოხვედრილ ტურისტებს შეუძლიათ ნახონ როგორც წიწვოვანი (სოსნოვსკის ფიჭვი), ასევე ფოთლოვანი ტყის კორომები, რომლებიც შედგენილია 50-ზე მეტი სახეობის ხე-მცენარეებით და ბუჩქნარებით, ნახავენ „ბაჩიას ტბას“, ცივის სუბალპურ ზონას და საზაფხულო აგარაკებს , ისიამოვნებენ ცივ-გომბორის ქედისა და „ბებერი კლდის“ პანორამული ხედებით, ნახავენ კურორტ კოდას, წმინდა პანტელეიმონ მკურნალის, წმინდა გრიგოლის, მთავარმოწამის და სხვა სალოცავებს, მცირე ჩანჩქერს „წიფლის ხევზე“ და გარეჯული ბუნების სხვა საოცრებებს.

– ვისი ძალებით მოეწყო ეს ეკოტურისტული ბილიკები და საჭირო ხომ არ გამხდარა ე.წ. „დაკიდული ბილიკების“ მოწყობაც.

– აღნიშნული ბილიკები და ტურისტული თავშესაფრები მოეწყო საქართველოს სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების საააგენტოს მიერ. დაკიდული ბილიკების მოწყობის საჭიროება ამ ეტაპზე არ დამდგარა, თუმცა, შემდგომში გამორიცხული არაა, რომ ამის აუცილებლობაც დადგეს დღის წესრიგში.

– ტურიზმის განვითარება, ვიზიტორთა ნაკადის ზრდა, სხვა ყველაფერთან ერთად გარკვეული მატერიალური შემოსავლების მიღებასა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას გულისხმობს. თუ ისარგებლეს შარშან ამ ბილიკით ტურისტებმა და თუ გქონდათ დაწესებული რაიმე გადასახადი ამ ვიზიტებისათვის?

– ჯერჯერობით ტურისტების ვიზიტი ამ ეტაპზე ფასიანი არ არის, იმიტომ, რომ დასამთავრებელია ტურისტულ თავშესაფრებში მცირე სამუშაოები. ასევე, საჭიროა ბილიკებზე მანიშნებლებისა და საინფორმაციო დაფების განთავსება. ისე კი, ვიზიტორების გარკვეული რაოდენობა ამ ზამთარსაც გვსტუმრობდა.

– თქვენი აზრით, როდის დამთავრდება ტურისტული ბილიკებისა და ტურისტული თავშესაფრების მოწყობის დარჩენილი სამუშაოები და როდიდანაა მოსალოდნელი, მათი სრული დატვირთვით ამოქმედება?

– როგორც აღვნიშნეთ, ჩასატარებელია გარკვეული მცირე სახის სამუშაოები და ჩვენი აზრით, ეს ტურისტული ბილიკები და თავშესაფრები მაის-ივნისში დაიწყებენ ფუნქციონირებას.

– მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალი თავიდანვე, ერთი დიდი და უნიკალური ბუნებრივი ლაბორატორიაა მეტყევეობით დაინტერესებული მეცნიერებისა და მკვლევარებისათვის. თავის დროზე აქ უმუშავიათ და ნაკრძალის შესახებ არაერთი თავისი სამეცნიერო ნაშრომი გამოუქვეყნებიათ საქართველოს, საბჭოეთისა და უცხოეთის მეტყევეობის კორიფე მეცნიერებს. შეუნარჩუნდება თუ არა ტურიზმთან ერთად ნაკრძალს ეს სტატუსიც?

– მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა დაარსებამდეც (1935წ) და მას შემდეგაც მუდმივად მიმდინარეობს. ამ საქმეში დიდია ***ქართველი აკადემიკოსების სოლომონ ქურდიანისა და ვასილ გულისაშვილის*** წვლილი, რომელთა სახელი ოქროს ასოებითაა ჩაწერილი მსოფლიო სატყეო მეცნიერების ისტორიაში. და აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ორი ბუმბერაზი მეცნიერი საგარეჯოს მკვიდრები იყვნენ, დღეს კი მათ დაწყებულ საქმეს წარმატებით აგრძელებს ***მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის დირექტორი პროფესორი ზვიად ტიგინაშვილი*** (რომელიც ასევე ჩვენებურია) და საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და მეცნიერები.

ზვიად ტიგინაშვილის სადოქტორო დისერტაცია დაცული აქვს სწორედ მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ფიჭვნარებზე და გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო სტატია.

მარიამჯვარის დაცული ტერიტორიებს მათი უნიკალური ბიომრავალფეროვნების გამო სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერები და მკვლევარები: პოლონეთიდან, გერმანიიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან და ა.შ. და იმედია ამ საქმეს მომავლიდან უფრო მეტი გასაქანი მიეცემა.

– რა შენდება საგარეჯოს სათავეში?

– საგარეჯოს სათავეში აშენდა და დასრულების ფაზაშია რეინჯერთა თავშესაფარი, რომელიც დროებით მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის ოფისის ფუნქციასაც შეასრულებს. შენობა მთლიანად დასრულებულია და მიმდინარეობს შიდა კეთილმოწყობის სამუშაოები.

– როგორც თქვენ აღნიშნეთ, ტურისტული ბილიკები და თავშესაფრები მაის-ივნისში დაიწყებს ფუნქციონირებას. რა თქმა უნდა, ამ პერიოდისათვის გაიზრდება ვიზიტორთა რიცხოვნობაც. რა სერვისების შეთავაზებას შეძლებთ ამ დროისათვის ტურისტებისათვის?

– ეს იქნება ტურისტების ტურისტული თავშესაფრებით უზრუნველყოფა და ასევე, მათ მივაწვდით საჭირო ინფორმაციებს ტურისტული ბილიკების მარშრუტებისა და მათთვის სხვა საინტერესო საკითხებზე. აქვე ვფიქრობთ, რომ გაიზრდება ტურისტების რაოდენობა და საჭირო გახდება საცხენოსნო ტურიზმის განვითარებაც, გაჩნდება მოთხოვნა საოჯახო სასტუმროებზე, სასოფლო-სამეურნეო და კვების პროდუქტებზე. ყველაფერი ეს კი ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებასა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას, ამ ბიზნესში ჩართულთა შემოსავლების ზრდას და დამატებითი შემოსავლების მიღებას. ყველაფერი ეს კი ამ საქმისადმი ახლებურ, ნოვატორულ მიდგომას, ადგილობრივი მოსახლეობისაგან თანადგომასა და მხარდაჭერის გაძლიერებასაც მოითხოვს, რომელთა ცნობიერების ასამაღლებლად ჩვენი სამსახური პერიოდულად მიმართავს სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებს – ვატარებთ საუბრებს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ვაწყობთ ეკოტურებს ჩვენს დაცულ ტერიტორიებში, ვუტარებთ აქციებს გარემოს დასუფთავებაზე, ვხვდებით ადგილობრივ მოსახლეობას და ვესაუბრებით გარემოს დაცვის მნიშვნელობასა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ. ერთი სიტყვით, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ საგარეჯოში ეკოტურიზმის განვითარების პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, რასაც, იმედია მალე ტურიზმის სხვა სახეობების განვითარებაც მოჰყვება და ჩვენი მუნიციპალიტეტი ასევე მალე გახდება საქართველოში ტურიზმის ერთ-ერთი საინტერესო და მიმზიდველი კერა.

ესაუბრა

გივი დაგახიშვილი

სამსახურები, რომელიც ყოველდღიურად ჰაერივით გვჭირდება

ვინ ზრუნავს ჩვენს მუნიციპალიტეტში სისუფთავეზე?!

„პროგრესი-2011“ მოსახლეობის სამსახურში

მათთვის არანაირ ამინდს მნიშვნელობა არა აქვს, მზეა, ქარია, თოვლია თუ ავდარი, მაშინ როცა ჩვენი თანამოქალაქეების უმეტესობა დილის ძილს არის მიცემული, ისინი უკვე თავს დასტრიალებენ ქალაქის ქუჩებსა და ტროტუარებს, გვიან, ასუფთავებენ წინა დღეს დაგროვილ ნაგავს, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან ათავისუფლებენ ნაგვის ბუნკერებს და როცა ქალაქი გამოიღვიძებს და პირველი გამვლელები ტროტუარზე გამოეფინებიან, საგარეჯო უკვე დაგვილ-დასუფთავებული და გალამაზებული იერ-სახით შემოეგებება თავის მოქალაქეებს. ასეა ყოველდღე, დღიდან დღემდე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე...

2009 წლის 7 მაისიდან შეუდგა მუშაობას შპს „პროგრესი-2011“ და მართლაც პროგრესი და სიახლეები შეიტანა საგარეჯოს ქუჩების დაგვა-დასუფთავების, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისა და ამით ჩვენი და ჩვენი ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების საქმეში. ხანდაზმულ საგარეჯოელებს კარგად გვახსოვს მანამდე ნაგავსა და სიბინძურეში ჩაფლული საგარეჯოს ქუჩები, საიდანაც თითქმის მთელი კვირები ვერ ხერხდებოდა ათასგვარი მღრღნელების თავშესაფრად ქცეული ნაგვის ბუნკერებთან დაყრილი ნარჩენების გატანა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რას დაემგვანებოდა ჩვენი ქალაქის ახლადრეაბილიტირებული ცენტრალური და მიმდებარე ქუჩები ამ სამსახურის თუნდაც ერთდღიანი შეჩერების დროს, სადაც განთავსებული ნაგვის ყუთები თვალისდასამხამებაში ივსება სავაჭრო თუ სხვა ობიექტებიდან გამოტანილი ნაგვით. საბედნიეროდ, ღვთის წყალობითა და ამ სამსახურის მეშვეობით, ასეთ რამეს კარგა ხანია აღარ ჰქონია ადგილი და ღმერთმა ნუღარც ქნას. ყველაფერი ეს კი გამომდინარეობს ამ პატარა კოლექტივის გამრჯეობითა და იმ მაღალი პასუხისმგებლობიდან, რასაც მისი თითოეული მუშაკი იჩენს მინდობილი საქმის პირნათლად შესრულებისათვის.

„პროგრესი-2011“-ში მისულს „მასპინძლობას“ **დირექტორის მოადგილე დავით კავთუაშვილი** მიწევს: – რიცხობრივად სამსახური არც ისე დიდია, აქ სულ 43 მუშაკია, აქედან ადმინისტრაციაში დასაქმებულია 5 კაცი: **დირექტორი ფრიდონ კოხტაშვილი**, დირექტორის მოადგილე დავით კავთუაშვილი, **საქმისმწარმოებელი დავით დარბაისელი** და **ნიკოლოზ კოხტაშვილი**, **ბუღალტერი თინათინ გარსიაშვილი**. მათ გარდა სამსახურში გვყავს 7 მძღოლი, 13 მეეზოვე და 18 მუშა. გვყავს ნაგვის გამტანი 5 სპეციალური და ამდენივე სხვადასხვა ტვირთამწეობის ავტომანქანა, – ***გვითხრა მან.***

ჩვენი მუშაკების სამუშაო დრო გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში დილის 5-6 საათიდან იწყება, ზამთარში კი ცოტა მოგვიანებით და ხშირად ღამის საათებში გრძელდება, რისი მოწმეც ბევრი საგარეჯოელია.

„პროგრესი-2011“-ში ბევრი დამსახურებული მუშაკი მუშაობს, რომელთაც მთელი რიგი წლები აქვთ ამ საქმეში გატარებული. მათგან ყველაზე უხუცესი აზიზ ასლოევია, რომელიც აქ უკვე 2014 წლიდან მუშაობს. 2017 წლიდან მუშაობენ ზაზა კევლიშვილი, (მძღოლი), ალექსანდრე ჭიაბერაშვილი, სიმონ მეკოკიშვილი, თამაზ ურდულაშვილი, იოსებ თევდორაშვილი, გივი კოხტაშვილი, (მძღოლები), ალექსანდრე ბუზარიაშვილი, სიმონ დარბაისელი. 2021 წლიდან მათი რიგები შეავსეს გიორგი დარისპანაშვილმა, ალექსანდრე ნაჭყებიამ, დავით როსტომაშვილმა, ავთანდილ თეთრაძემ. 2022 წლიდან მუშაობს „პროგრესი-2011“-ში გივი შიოშვილი.

ქალაქის ქუჩების დასუფთავება-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანასთან ერთად ჩვენი სამსახურის ვალია ქუჩების მიმდებარე წყალსარინი არხების გაწმენდა და ნარჩენების გატანა. ეს არხები ხშირად ივსება ფოთლოვანი ხეებისა და უპასუხისმგებლო ადამიანების მიერ დაყრილი სხვადასხვა ნარჩენებით და სისტემატურად საჭიროებენ გაწმენდას.

„პროგრესი-2011“-ის მუშაკთა კომპეტენციაშია მუნიციპალიტეტის სოფლების მისადგომების დასუფთავება და გიორგიწმინდის, ნინოწმინდის, წყაროსთავის, პატარძეულის, თოხლიაურისა და მანავის ქუჩებში დადგმული ნაგავშემკრები ყუთებიდან ნაგვის გატანა და დასუფთავება. მათი კარგი მუშაობის შედეგია ის, რომ 2015 წელს „პროგრესი-2011“ დაჯილდოვდა დარგის ლიდერის ეროვნული სერტიფიკატით, რომელიც მას ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირის დირექციისაგან გადაეცა და ჩვენი სამსახური საქართველოში ერთადერთი იყო, ვისაც ეს პატივი ხვდა წილად.

– თუ არ ვცდები, ასეთივე სერტიფიკატი თქვენს საქმეთა მწარმოებელს დავით დარბაისელსაც მიეკუთვნა, ოღონდ რომელ წელს, ვერ ვიხსენებ...

– კი, ასეთი ეროვნული სერტიფიკატი ნომინაციაში „2015 წლის საუკეთესო სპეციალისტი“ მიღებული აქვს ჩვენს სამუშაოთა მწარმოებელს დავით დარბაისელს. ნაციონალური ბიზნეს-რეიტინგების კავშირმა და სხვა შესაბამისმა ორგანოებმა ეს სერტიფიკატი, როგორც მასში წერია, ჩვენს თანამშრომელს მიაკუთვნა „სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის მრავალწლიანი წარმატებულინ საქმიანობისათვის, პირადი წვლილისათვის შრომის მაღალი მაჩვენებლების მიღწევის, ამოცანების გადაჭრის დროს გამოჩენილი რაციონალური მიდგომისა და პროფესიონალიზმისათვის“.

– თქვენი სამსახური ჩვენი ცხოვრების ის აუცილებელი სასიცოცხლო ელემენტია, რომლის გარეშე გაჭირდებოდა ჩვენი ყოველდღიურობა და ამ სერტიფიკატს კი არა , უფრო მეტ და დიდ ჯილდოებს იმსახურებთ. მოდით ახლა ის გვითხარი, როგორ არიან თქვენი მუშაკები უზრუნველყოფილნი სათანადო ეკიპირებით. მათ ხომ ნებისმიერ ამინდში უწევთ სამუშაოს შესრულება, გასვლა და ჩვენი ქალაქისა თუ სოფლების სისუფთავის დაცვაზე ზრუნვა.

– ყველა ჩვენი მუშა აღჭურვილია სათანადო სამუშაო სპეცტანსაცმლით, აქვთ ჩექმები, ჟილეტები, ხელთათმანები, ყველანაირი სამუშაო იარაღები. ერთი სიტყვით, შექმნილი აქვთ ნორმალური მუშაობისათვის ყველა სათანადო პირობა და ძალა შესწევთ პირნათლად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა, რასაც ჩვენი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის სოფლების დასუფთავება და ჰიგიენური პირობების დაცვა ჰქვია.

– ღმერთმა შეწევნა და გამძლეობა არ მოგიშალოთ თქვენს მართლაც ფასდაუდებელ საქმიანობაში.

ესაუბრა *გივი დაგახიშვილი*

სოფლების, რეგიონის სისუფთავისათვის

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო ბიოდეგრადირებად, ინერტულ, სამედიცინო და სახიფათო ნარჩენების შეგროვებასა და გატანას საგარეჯოს ნაგავსაყრელზე უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში არსებული შპს „სუფთა მუნიციპალიტეტის-2018“ და ტენდერში გამარჯვებული კომპანია „პროგრესი-2011“. ორივე სამსახურის მოვალეობაში შედის ნარჩენების შეგროვების მომსახურების მიწოდება, როგორც მოსახლეობისთვის, ასევე კომერციული ობიექტებისა და სხვა დაწესებულებებისათვის.

2023 წლის დასაწყისში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილულ იქნა მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა, რომელიც შემდგომში ხელს შეუწყობს 2023-2030 წლების ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების მიღწევას მუნიციპალურ დონეზე.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა მიმართულია მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტისა და შედეგების მიღწევაზე. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა 2023-2027 წლებში. და კიდევ – მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ნარჩენების მართვის საკითხზე.

საინტერესოა, დღეს, ხუთწლიანი გეგმის ამოქმედებამდე რას საქმიანობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული დასუფთავების სამსახურები?

შპს საგარეჯოს „სუფთა მუნიციპალიტეტის-2018“ (**დირექტორი თედო ილაური**) 2018 წელს დაარსდა და დღიდან დაარსებისა კახეთის რეგიონის დასუფთავების იმ მოწინავე კოლექტივებს შორის დგას, რომლებმაც შარშან, 2022 წელს ჩვენს რეგიონს ზედიზედ მეოთხედ მოუტანეს გამარჯვება რესპუბლიკურ კონკურსში „სუფთა მუნიციპალიტეტი“. უფრო მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმეში ყველაზე მეტი წვლილი ამ სამსახურის მუშაკებს მიუძღვით, რადგან საგარეჯო კახეთის ერთგვარ კარიბჭეს წარმოადგენს და კახეთისკენ მიმავალ მგზავრსა თუ ტურისტს აქედან ექმნება პირველი შთაბეჭდილებები ჩვენი მხარის მიმართ. აქ არ გვინდა მიკერძოებად ჩაგვეთვალოს, მაგრამ კახეთის გზატკეცილის ეს ნაწილი, რომელსაც ისინი ემსახურებიან, მართლაც ყველაზე მოვლილი და დასუფთავებულია სხვა ავტომაგისტრალებთან შედარებით. ამაში დარწმუნება ამ ავტომაგისტრალზე უბრალო მოგზაურობითაც შეიძლება, რომლის დროსაც არ შეიძლება გზის რომელიმე მონაკვეთზე არ შენიშნოთ დილის 6 საათიდანვე შესაბამისი სპეცტანსაცმლით მომუშავე საგარეჯოელი გარემოსდამცველები – მართლაც, და მოუღლელი მუშაკები, რომლებიც ყოველდღიურად ასწრებენ ათობით კილომეტრებზე ავტომაგისტრალების გზისპირა ზოლების გასწვრივ ამა თუ იმ მიზეზით დაყრილ;ი ნაგვისგან დასუფთავებასა და მის გატანას. და მარტო ეს როდია ყველაფერი. ამ სამსახურის დამსახურებაა, რომ საგარეჯოსა და მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიულ ორგანოებში დიდი ხანია დაივიწყეს სტიქიური ნაგავსაყრელების, ნაგვისშემკრებ ყუთებთან დახვავებული და გასატანი – ანტისანიტარიის გამომწვევი საყოფაცხოვრენბო ნარჩენების არსებობა.

წლიდან წლამდე, თვიდან თვემდე ჩვენი მუნიციპალიტეტი ლამაზდება, ხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, რითაც უფრო მეტი საქმე და საზრუნავი ემატებათ და ამ სამსახურისა და მისი მუშაკებისგან უფრო მეტ მონდომებას და ძალისხმევას მოითხოვენ და თუ როგორ უმკლავდებიან ამ გამოწვევებს ისინი, ამის შესახებ გვესაუბრება „საგარეჯოს სუფთა მუნიციპალიტეტის-2018“ ***დირექტორი*** **თედო ილაური**.

– შპს საგარეჯოს „სუფთა მუნიციპალიტეტის-2018“-ის ძირითადი მოვალეობაა ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ჩვენს მიერ იქ განთავსებული ნაგვის შემკრები ყუთებიდან. ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და სპორტული მოედნების მოვლა-პატრონობა. ეს საქმე ჩვენმა თანამშრომლებმა დღის 12 საათამდე უნდა მოასწრონ. ასევე, ჩვენი საზრუნავია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო მაგისტრალების გზისპირა ზოლების დასუფთავება, სოფლებში არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდა, დასუფთავება და ასე შემდეგ.

– როგორც ცნობილია მუნიციპალიტეტში ზოგიერთი სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას შპს „პროგრესი-2011“-იც აწარმოებს. თქვენი შპს რომელ სოფლებს ემსახურება?

– ჩვენ ვემსახურებით მუნიციპალიტეტის მთის ზონის ყველა თემის სოფლებს: გომბორის., კოჭბანის, უჯარმის თემებში შემავალ სოფლებს, ხაშმს, პატარძეულს, ნაწილობრივ თოხლიაურს, ორივე ჩაილურს, კაკაბეთს, ვერხვიანს, ყანდაურას, ბადიაურს, მზისგულს, შიბლიანს, უდაბნოს, სათაფლეს, ასევე იორმუღანლოს, ლამბალოს, თულარის, დუზაგრამის თემებში შემავალ სოფლებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებს და სპორტულ მოედნებს, გომბორი-თელავის და თელავი-თბილისის ავტომაგისტრალების საგარეჯო-კაჭრეთის მონაკვერთს.

– რამდენი ერთეული ტექნიკაა დასაქმებული და ვინ არიან მძღოლები და მუშები?

– გვყავს ორი ერთეული ე.წ. სპეცმანქანა და სამი ერთეული „ფორდი“. მძღოლები არიან გელა თამაზაშვილი, ნუგზარ ანუაშვილი, თემურ ბადდასაროვი, ლადო ივანიაშვილი, იოსებ ყანდინაშვილი. თითოეულ მანქანას ემსახურება კიდევ 3 მუშა.

– მუშები, რომლებიც ყოველთვის მოწინავეები არიან?

– ძნელია დაასახელო ვინმე გამოყო, მაგრამ წასახალისებლად მაინც გეტყვით, რომ მოწინავეთა რიგებში ბევრნი არიან, ჩვენს სამსახურს ჰყავს 14 დამლაგებელი, რომლებიც მუნიციპალიტეტის მერიის ორივე შენობისა და მისი შემოგარენის დასუფთავება-სისუფთავეზე ზრუნავენ. ***– როგორია სამსახურის სამომავლო გეგმები?***

– ვეცდებით კვლავაც შევინარჩუნოთ მოწინავე რიგები.

60 წლის საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დღევანდელობა

მუზეუმის მენეჯერი ბადრი დრეიძე:

„იდეები და ამოცანები ბევრია“...



საგარეჯოს *მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 60 წლისაა. ეს საიუბილეო თარიღი, ისე როგორც ჩვენს ქალაქს, მას გასულ, 2022 წელს შეუსრულდა, საგარეჯოს ქალაქად გამოცხადების ოფიციალურ თარიღამდე რამდენიმე თვით ადრე. დაარსების დღიდან დღემდე მუზეუმმა მეტად საინტერესო და ამავდროულად სვედისმომგვრელი ისტორია განვლო, რომელიც პირობითად შეიძლება სამ პერიოდად დაიყოს: პირველი – კომუნისტური რეჟიმის, მეორე – მისი მომდევნო საქართველოსა და მთელი ქართველობისათვის ძნელბედობის და მესამე – რეაბილიტაციის ჩატარების შემდეგდროინდელი პერიოდი, როდესაც საბოლოოდ დაესვა წერტილი მუზეუმის საქმიანობასა და აქ დაცული გარეჯული ეროვნული საგანძურის დაცვა-გადარჩენის საქმეში არსებულ გაუთავებელ პრობლემებს.*

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია ამ მუზეუმის მენეჯერი, საგარეჯოელი ერუდიტი და ყველასათვის ცნობილი პიროვნება **ბადრი დრეიძე**, *რომელთანაც ერთად შევეცდებით კიდევ ერთხელ გავიაროთ და ჩვენს მკითხველსა და საგარეჯოს გულშემატკივრებს გავაცნოთ ამ 60 წლის მანძილზე მუზეუმის კედლებში გაწეული საქმიანობა.*

– ბ-ნო ბადრი, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაარსების თარიღის შესახებ საზოგადოებაში სხვადასხვანაირი აზრი არსებობს. ზოგი ამას გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულს მიაწერს, ზოგი 60-იანი წლების დასაწყისს ასახელებს. თქვენ, როგორც ამ მუზეუმის მენეჯერი, რა ინფორმაციას ფლობთ ამის შესახებ?

– საქმე იმაშია, რომ მუზეუმის დასაარსებლად იდეა და მისი მოსამზადებელი სამუშაოები 1958 წლიდან დაიწყო, რაც მეტად შრომატევადი პროცესი აღმოჩნდა და მთელ ოთს წელიწადს გაგრძელდა და საბოლოოდ, ოფიციალურად 1962 წლის 8 აპრილს გაიხსნა.

– ვინ იყო საგარეჯოელთაგან ის პიროვნება, , ვისაც მუზეუმის პირველი დირექტორობის პატივი ხვდა წილად?

– ის იყო აწ განსვენებული ისტორიკოსი ალექსანდრე ელერდაშვილი.

– რამდენადაც ცნობილია, მუზეუმი უფრო ქველმოქმედებისა და მოსახლეობის მხრიდან შემოწირულობების ნიადაგზე დაფუძნდა, რაშიც აქტიურად იყვნენ ჩაბმული რაიონის მაშინდელი პარტიული, საბჭოთა და საგანმანათლებლო და სხვა ორგანოები. კარგად მახსოვს, მაშინ მანავის საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა ჩვენი ისტორიის მასწავლებლები გვთხოვდნენ, შეგვეგროვებინა ძველებური მონეტები და საყოფაცხოვრებო ნივთები და ერთ-ერთი მოსწავლის მიერ მოტანილი ვერცხლის მონეტა XI თუ XII საუკუნის აღმოჩნდა, რომელიც შემდეგ სკოლის მიერ მუზეუმს გადაეცა. ასეთი რამ ალბათ სხვა სოფლების სკოლებშიც ხდებოდა. ამას გარდა, მოსახლეობა თვითონაც იყო დაინტერესებული მუზეუმისათვის ისტორიული მნიშვნელობის ექსპონატების შეწირვისათვის. თუ ინახება მუზეუმში მასალები იმის შესახებ, თუ ვინ რა გაიღო და შესწირა მისი მასალებისა და ექსპონატების გამდიდრებისათვის?

– როგორ არა! მუზეუმში ახლაც ინახება მრავალი განცხადება, სადაც ესა თუ ის პიროვნება ოფიციალურად იუწყება, თუ რის შეწირვას აპირებდა მუზეუმისთვის. მოჰქონდათ და მუზეუმს აბარებდნენ ძველებურ სიგელ-გუჯრებს, ვერცხლისა და ფაიფურის ძვირფას ნაკეთობებს, ვერცხლის ქამარ-ხანჯლებს, ხმლებს, ხელოვნების ნიმუშებს, საყოფაცხოვრებო და სამუშაო იარაღებს და ა.შ. მაგალითად, მარტო საგარეჯოელმა ბიზნესმენმა და საზოგადო მოღვაწემ იაშა ანუაშვილმა მუზეუმს შესწირა ვერცხლის ძვირფასი ჭურჭელი. ეს ის იაშა ანუაშვილია, რომელმაც მატარებლის საკუთარი ვაგონით ბათუმში ჩააცილა იძულებით ემიგრაციაში მიმავალი საქართველოს პირველი დემოკრატიული მთავრობა და ვის სახლშიც საგარეჯოში ზაქარია ფალიაშვილმა (პირველი ფორტეპიანო საგარეჯოში ი. ანუაშვილს ჰქონდა) დაწერა თავისი უკვდავი „დაისის“ შესავალი.

– გარეჯულ პრესაში ჩემი მრავალწლიანი მუშაობის მანძილზე არაერთხელ დავინტერესებულვარ ჩვენი მუზეუმის საქმიანობით და სხვებთან ერთად, ჩემთვისაც ცნობილია ის ვანდალური ფაქტები, რასაც მუზეუმისა და მისი ექსპონატების მიმართ იჩენდნენ მისი ზოგიერთი ვაი-თანამშრომელი თუ გარეშე ადამიანები. მათი „მეცადინეობითა“ და „წყალობით“ არაერთხელ გაიძარცვა და დაიტაცეს მუზეუმში ჩვენი საგარეჯოელი ხალხის ძალებით დაგროვილი გარეჯული საუნჯეები, რის შესახებაც არსებული უმეტესი საქმეები რატომღაც გამოუძიებელი რჩებოდა. რა დარჩა, რა დაგხვდათ ადგილზე იმ ძველი საუნჯედან სამსახურის ხელმძღვანელად მისულს?

– სამწუხაროდ, ჩვენს მიერ ზემოთნახსენები ნივთებიდან მუზეუმში აღარაფერი დარჩა, დატაცებულია და „უგზო-უკვლოდ“ დაკარგული ბევრი მნიშვნელოვანი ექსპონატი, ვერცხლისა და ფაიფურის ნაკეთობები, ქამარ-ხანჯლები, ყველაფერი, რასაც დამტაცებლების თვალით ესა თუ ის მატერიალური ღირებულება ჰქონდა.

– იმ ბნელი და განუკითხაობის წლების მანძილზე, როცა მუზეუმის და მისი დაცვის ბედი „ღვთის ანაბარა“ იყო მიტოვებული, ასეთი ფაქტები გამორიცხული არ იყო, მაგრამ, – ზემოთ საუბარში ჩვენ მუზეუმიდან სხვა ექსპონატების დაკარგვა-გაუჩინარებაზე შევაჩერეთ ყურადღება, რაშიც ასე ვთქვათ „ლომის წილი“ იქ არსებულ არასათანადო დაცვის პირობებსა და უყურადღებობასაც მიუძღოდა. ამის შემდეგ გამოხდა ხანი და ჩვენი საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს, როგორც იქნა მუზეუმის შენობის ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები, რომლის შედეგადაც ეს საკითხებიც იქნა დარეგულირებული. თქვენი აზრით, როგორ არის სადღეისოდ დაცული მუზეუმი და მისი ექსპონატები მსგავსი ფაქტებისაგან?

– აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები მუზეუმს 2012 წელს ჩაუტარდა, რაშიც დიდი დახმარება გაუწიეს მუზეუმს მუნიციპალიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელმა გია ჩალათაშვილმა და პარლამენტში ჩვენმა დეპუტატმა ზაზა გულიკაშვილმა. შიდა საგამოფენო სივრცეების მოწყობასთან ერთად გარკვეული სამუშაოები ჩატარდა დაცვის სისტემების მოსაწესრიგებლად. პირველი კი, რაც კი მე ამ სამსახურში მისვლისას გავაკეთე, ის იყო, რომ მუზეუმის დაცვა საგარეჯოს დაცვის პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ავიყვანე, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს მუზეუმის ყოველგვარ ხელყოფას.

– კარგია, რომ ეს საკითხი დადებითად მოგვარდა, მაგრამ რამდენადაც ვიცი, სათანადო ფართის არქონის და სივიწროვის გამო, ვერ ახერხებთ მუზეუმის ფონდებში დაცული ბევრი ექსპონატის გამოფენას და ექსკურსანტებისათვის ჩვენებას. თუ არსებობს რაიმე პერსპექტივები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

– გამოსავალი ყველა მდგომარეობიდან არსებობს და ასეთ ხერხს ჩვენც მივმართეთ. მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით შევიძინეთ ძვირადღირებული ფართოეკრანიანი მონიტორი, სადაც მუზეუმის ვიზიტორებისათვის განთავსდება ასეთი ექსპონატები თავისი შესაბამისი წარწერებით და მათ საშუალება ექნებათ ახლოს გაეცნონ ჩვენი ქალაქის ამა თუ იმ ღირსშესანიშნაობებსა და ისტორიას. სხვათა შორის, მუზეუმის ექსპონატების გატაცებისა და განიავების მიუხედავად, ჩვენს ფონდებში შემონახული გვაქვს ჩვენი ქალაქის ხედების უძველესი ფოტოები, უძველესი შენობების, გამოჩენილი პიროვნებების სურათები, რომლებიც სადღეისოდ უკვე აღარ არიან და სხვა, რომელთა ხილვა კიდევ ერთხელ შეახსენებენ ადამიანებს, ვინ ვართ და ვინ ვიყავით საგარეჯოელები.

გარდა აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უკვე მიღებულია საგარეჯოში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის პროექტი, რომელშიც გარკვეული ფართი მხარეთმცოდნეობის მუზეუმსაც დაეთმობა სხვადასხვა საგამოფენო ღონისძიებების მოსაწყობად.

– ამ ბოლო ათწლეულის, ცოტა მეტი ხნის მანძილზე საგარეჯოში ბევრი მნიშვნელოვანი კულტურული და ისტორიული მოვლენის მომსწრენი გავხდით, წინ წამოვიდა უფრო განათლებული და ერუდირებული ახალი გარეჯული თაობები: მხატვრები, მწერლები, პოეტები, ექიმები და ა.შ. ამის კვალობაზე ალბათ შეიცვლებოდა მოსახლეობის დამოკიდებულება მუზეუმის მიმართ და როგორ?

ქეთი ქიზიყელაშვილმა მუზეუმს გადმოსცა საკუთარი ნამუშევარი...

– უკვე 11 წელია მუზეუმში ვარ და უნდა აღვნიშნო, რომ მოსახლეობამ აქტიურად დაიწყო მუზეუმისთვის ნივთების შემოწირვა. ამ პერიოდში მათ უკვე შემოგვწირეს 100 ნივთზე მეტი,. მამა მირიან არდაზიშვილმა შემოგვწირა 50000 მანეთიანი ობლიგაცია, ნანა ჯანგულაშვილმა – პროფესორ შოთა ციციშვილის შემნილი ვაზა, ასევე ვაზა და ლანგარი შემოგვწირა მუზეუმის სამნეო ნაწილის სპეციალისტმა გივი აბულაძემ, თემურ რევაზიშვილმა – ნავთქურა, ნუგზარ მეკოკიშვილმა პორტრეტი „ანა ლაშხელი“ (ავტ. ონიანი). ჯაფარიძეების ოჯახმა – პატარა ლანგარი, არჩილ ჯაბადარმა – 1874 წლის სახარება, რომელიც მათ ოჯახს უსახსოვრა მიტროპოლიტმა გაიოზ კერატიშვილმა, ბადრი დრეიძემ – წალდი, გოგა ბითაძემ – ბოტასები და სპორტული ფორმა, გიორგი (ცაცა) ზულიაშვილმა – ხეში ნაკვეთი „მონატრება“, მიშა უნაფქოშვილმა – გოგია ჭიჭოშვილის (მიხა ხელაშვილის მკვლელის მკვლელი) ხანჯალი, მარეხი საგინაშვილმა – ნასყიდობის სიგელი, იანქოშვილების ოჯახმა – ხალიჩა ღვთისმშობლის გამოსახულებით, მზია მარიხაშვილმა – ერთი მანეთი, კახა ბუზარიაშვილმა – საბერველი, ანსამბლ „ჩინარის“ ხელმძღვანელმა ნელი გულიკაშვილმა – ვერცხლის ლირა, ქეთი ქიზიყელაშვილმა მუზეუმს გადმოსცა საკუთარი ნამუშევარი... ალექსანდრე მეზვრიშვილმა – სამხატვრო აკადემიის პროფესორ გოგი თოთიბაძის მიერ შესრულებული მედეა მეზვრიშვილის პორტრეტი, მსახიობმა პაატა ქვლივიძემ ათონის მთის 1000 წლის საიუბილეო მედალიონი და რუსული ხატი, ანი რევაზიშვილმა – ფაიფურის ჭურჭელი (კუზნეცოვის ფაიფურის ქარხ). ასევე თავისი ნახატები შემოგვწირეს საგარეჯოელმა მხატვრებმა ნინო ჯანგულაშვილმა, ირმა შველიძემ, თამრიკო იორამაშვილმა და ეს პროცესი კვლავ აქტიურად გრძელდება.

– ადამიანები, ვინც სადღეისოდ მუზეუმის ამ დიდმნიშვნელოვან და საშვილიშვილო საქმეში ხართ ჩაბმული?

– მენეჯერი ბადრი დრეიძე, ფონდის მცველი ქეთევან ქურთიშვილი, სიძველეთა მცველი – თინა ოთარაშვილი, ექსკურსიამძღოლები – ლალი გოგიტაშვილი და ცისმარი მამისაშვილი, სამნეო ნაწილის სპეციალისტი – გივი აბულაძე, დამლაგებელი ქეთევან კევლიშვილი.

– თქვენი მუზეუმი საგარეჯოში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და რგოლია. როგორია მუზეუმის ხელმძღვანელობის კოლექტივის უახლესი სამომავლო გეგმები, რომ თქვენზე დაკისრებული ეს მისია წარმატებით დასრულდეს?

– ამჟამად მთელი ძალებით ვართ გადასული ჩვენს ფონდებში არსებული ექსპონატების, დოკუმენტური მასალების მონიტორში ატვირთვაზე. გვინდა ჩავატაროთ ადგილობრივ მხატვართა კონკურსი სხვადასხვა თემებზე, რომლის დროსაც სამხატვრო მასალებით მათ მუზეუმი უზრუნველყოფს. მათ მიერ შესრულებული ნახატები კი მუზეუმში დარჩება. რა თქმა უნდა, გატარდება შესაბამისი მატერიალური წამახალისებელი ღონისძიებები. ფართო ადგილი დაეთმობა მოსწავლეთა შემოქმედებას, გვინდა მოვაწყოთ პატარების არქეოლოგიური კუთხე, რისი პრაქტიკაც უკვე დანერგილია ქვეყნის სამუზეუმო სივრცეში. ვამზადებთ და გვინდა გამოვუშვათ წიგნი ჩვენი მუზეუმის შესახებ და ა.შ. ერთი სიტყვით, იდეები და ამოცანები ბევრია და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის, ჩვენი საზოგადოების მხარდაჭერითა და თანადგომით მალე ვაქცევთ რეალობად.

ესაუბრა
გივი დაბახიშვილი

მართლმადიდებლობა

როგორ დავიცვათ დიდი მარხვა

(27 თებერვლიდან დაიწყო დიდი მარხვა)

ჩვეულებრივ დიდ მარხვაში უნდა შეიკავოთ თავი ხორცისა და ხორცის პროდუქტებისაგან, ყველისა და რძის პროდუქტებისაგან, კვერცხისა და თევზეულისაგან. არ არის დაშვებული ღვინისა და სხვა სპირტიანი სასმელების დალევაც. კარგი იქნება თუ ვისარგებლებთ დიდი მარხვის საერთო შემართებით და დავთმობთ სიგარეტს და სხვა მავნე ჩვევებს.

დამწყებთათვის სასურველია,რომ მთელი მარხვის განმავლობაში არ მიიღონ ხორცი და ხორცის პროდუქტები, თავი შეიკავონ ღვინისა და სხვა სპირტიანი სასმელებისაგან. რძის პროდუქტები და კვერცხი შეუძლიათ მიიღონ გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, რომელთა სრული მარხვით დაცვა კარგი იქნება.

ვინც პირველად აპირებს მარხვის შენახვას და ვისაც სურს მარხვის გამკაცრება, უნდა მიმართონ მოძღვარს რჩევა-დარიგებისა და ლოცვა-კურთხევისათვის.

თუ ავადმყოფობისა და სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლია სრული მარხვის შენახვა, მიმართოს მოძღვარს და ის შეურჩევს მარხვის უვნებელ ზომას.

დიდი მარხვის პირველი შვიდეული განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩევა.

ჩვეულებრივ საკვები უზეთოდ მზადდება და მცირდება მისი მიღების რაოდენობა.

დამწყებთათვის საკმარისია სრულად დაიცვან მარხვა, ყოველგვარი გამკაცრების გარეშე.

დიდი მარხვის პირველი შვიდეულის ორშაბათიდან ხუთშაბათამდე დიდი მწუხრის შემდეგ იკითხება ***წმ. ანდრია კრიტელის სინანულის კანონი.*** დიდი მარხვის ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს სრულდება პირველშეწირულის ლიტურგია. სხვა სადაგ დღეებში წირვა არ ტარდება.

დიდმარხვის I შაბათს აღინიშნება ხსენება წმ. დიდმოწამე თეოდორე ტირონისა. ამ დღეს ტაძრებში იკურთხება კოლიო. წმიდა დიდმოწამე თეოდორე ტირონის აღსრულებიდან 50 წლის შემდეგ იმპერატორმა იულიანე განდგომილმა, რომელსაც სურდა დიდმარხვის ჩაშლა, პირველ შვიდეულში გასცა ბრძანება, რომ ყოველდღე, მთელი კვირის განმავლობაში, ესხურებინათ ნაკერპავი სისხლი ყველანაირ სურსათ-სანოვაგეზე, რომელსაც ბაზარში გამოიტანდნენ.

ამ დროს წმ. თეოდორე გამოეცხადა კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსს და მოუწოდა მას ეცნობებინა ყოველი ქრისტიანისათვის, რათა მათ არ ეყიდათ ბაზარზე გამოტანილი შებილწული საკვები და ეჭამათ მხოლოდ კოლიო, ანუ თაფლით შეზავებული მოხარშული ხორბალი.

ამ მოვლენის აღსანიშნავად მართლმადიდებელი ეკლესია დიდმარხვის პირველ შაბათს აღასრულებს წმიდა თეოდორე ტირონისადმი სავედრებელ კანონს და აკურთხებს კოლიოს (წანდილს). ამ დღეს სრულდება იოანე ოქროპირის წირვა.

დიდი მარხვის I კვირას აღინიშნება მართლმადიდებლობის ზეიმი, დღე როდესაც საბოლოოდ გაიმარჯვა მართლმადიდებლობამ და დაიგმო ხატმებრძოლობა. სრულდება ბასილი დიდის წირვა.

შაბათსა და კვირას მკაცრი მარხვა არ შეიძლება. დასაშვებია ცოტაოდენი ღვინის შესმა.

დიდი მარხვის II,III და IV შაბათი მიცვალებულთა ხსენების დღეებია. იკურთხება საკურთხი. სრულდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა.

დიდი მარხვის II კვირას ვიხსენიებთ წმიდა გრიგოლ პალამას, თესალონიკელ ეპისკოპოსს. სრულდება ბასილი დიდის წირვა.

III კვირას ჯვარის თაყვანისცემის კვირა ეწოდება. ამ დღეს შუა ტაძარში დაესვენება ცხოველსმყოფელი ჯვარი და მისი საპატივცემო წირვა-ლოცვა აღევლინება. სრულდება წმ. ბასილი დიდის წირვა.

25 მარტს (ახალი სტილით 7 აპრილს) აღინიშნება ხარება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა. ხსნილია თევზითა და ღვინით.

დიდი მარხვის IV კვირას არის ხსენება ღირსისა მამისა იოანე კიბისადმწერელისა, რომელმაც აღწერა სათნოებათა კიბე აღმავალი ზეცად. სრულდება წმიდა ბასილი დიდის წირვა.

დიდი მარხვის V შაბათს დაუჯდომლის შაბათი ეწოდება. ამ დღეს იკითხება ღვთისმშობლის დაუჯდომელი გალობა, რომელიც დაწესებულია მოსახსენებლად კონსტანტინეპოლში აღვლენილი საყოველთაო და გულმხურვალე ლოცვისა, რომელიც შეისმინა დედამ ღვთისა და მისი შუამდგომლობით შეწყდა ღვთის რისხვა. სრულდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა.

დიდი მარხვის V კვირას ვიხსენებთ ღირს დედა მარიამ მეგვიპტელს, რომელიც თავდაპირველად უწმინდური და თავაშვებული ცხოვრებით ცხოვრობდა, მაგრამ ღვთის მადლითა და ღვთისმშობლის შემწეობით ირწმუნა ღმერთი და ერთ-ერთი ყველაზე დიდი წმიდანი გახდა. სრულდება წმიდა ბასილი დიდის წირვა.

VI შაბათს ლაზარეს შაბათი ჰქვია. ამ დღეს ვდღესასწაულობთ მართალი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინებას (წაიკითხეთ იოანეს სახარების მე-11 თავი). ტარდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა. ხსნილია თევზითა და ღვინით.

VI კვირა - ბზობაა, ანუ იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში. ტაძრებში იკურთხება ბზა. ხსნილია თევზითა და ღვინით. სრულდება წმიდა იოანე ოქროპირის წირვა.

დიდ მარხვას მოსდევს ვნების შვიდეული. მარხვა კვლავ უფრო მკაცრი ხდება, განსაკუთრებით დიდ პარასკევს - იესო ქრისტეს ვნებათა ხსენების დღეს.

დიდი ორშაბათიდან დიდ ხუთშაბათამდე ტაძარში იკითხება ოთხივე სახარება მთლიანად. ორშაბათიდან ოთხშაბათამდე სრულდება პირველშეწირულის ლიტურგია, დიდ ხუთშაბათს წმიდა ბასილი დიდის წირვა. ხუთშაბათის შემდეგ აღარ ითქმის ეფრემ ასურის ლოცვა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში

ახალგაზრდების საჭიროებების გამოვლენის მიზნით

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს, ავთანდილ გულიკაშვილს სოფელ - დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის ეკო კლუბის მე-8 კლასის წევრები ხელმძღვანელ - ეკა ვეშაპიძესთან ერთად ესტუმრნენ.

შეხვედრის მიზანი, სოფელში არსებული საჭიროებების განხილვა იყო, რაც ძირითადად ახალგაზრდული და სპორტული აქტივობების დასანერგად საჭირო რესურსის მოძიებას ეხებოდა.

მოსწავლეებმა არაერთი ინიციატივა გააჟღერეს, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ავთანდილ გულიკაშვილმა თითოეული ადმინისტრაციული ერთეულიდან, ახალგაზრდების საჭიროებების გამოვლენის მიზნით, სოციოლოგიური კვლევის ჩატარების ორგანიზება ითხოვა, რათა სამომავლო პრიორიტეტები და სამუშაო სტრატეგიის შემუშავების პროცესში თავად ჩაერთოს და დასახოს წლის გეგმა.

„ამ მიმართულებით გეგმიური შეხვედრები კვლავ გაგრძელდება და აქტიური მუშაობა დაიწყება ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავების კუთხით. მივესალმები ახალგაზრდების ჩართულობას სხვადასხვა მიმართულებით: გარემოს დაცვა, კულტურული და სპორტული აქტივობები. გარდა ამისა, არსებობს რიგი საკითხებისა, სადაც ახალგაზრდების ხედვა და მათი კომპეტენცია აუცილებელია, რათა მაქსიმალურად სწორად განვსაზღვროთ მომავალი თაობისთვის საჭირო სტრატეგია. სწორედ ამ მიზნით, ჩვენ გავაგრძელებთ კომუნიკაციას და კოორდინირებულად შევიმუშავებთ და დავგეგმავთ სხვადასხვა სახის ღონისძიებას. მე იმედი მაქვს, რომ სამომავლოდ, ჩვენი მჭიდრო ურთიერთობა იქნება საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის საფუძველი“ - განაცხადა ავთანდილ გულიკაშვილმა.

ქეთი გრატიაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პრესსპიკერი

იმედს გამოთქვამენ, რომ გათვალისწინებული იქნება მათი სურვილები

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია არის მასშტაბური გარემოსდაცვითი კონკურსი, რომელიც 2015 წელს დაარსდა CENN -ის ორგანიზებით.კონკურსში მიმდინარე წელს ჩაერთო დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის ეკოკლუბი „ცასწავალა“,პედაგოგ ეკა ჭიკაძე-ვეშაპიძის ხელმძღვანელობით.კლუბის წევრებს მიზნად აქვთ დასახული,სხვადასხვა აქტივობების განხორციელება,საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვით თავად გახდნენ მდგრადი განვითარების მონაწილენი.

ამიტომ კლუბის წევრების ინიციატივით სტუმრად ეწვივნენ ქალაქ საგარეჯოს მერს ბატონ ავთანდილ გულიკაშვილს. შეხვედრა წარიმართა კითხვა პასუხის რეჟიმში. კლუბის წევრებმა ბატონ მერს თხოვეს დახმარება, სოფლის კეთილმოწყობაში, ახალგაზრდებისათვის სპორტული და გასართობი სივრცეების შექმნაში.

კლუბის წევრები მადლობას უხდიან ბატონ მერს, დათმობილი დროისთვის, გულისხმიერების და მხარდაჭერისათვის.იმედს გამოთქვამენ, რომ გათვალისწინებული იქნება მათი სურვილები, რადგან ბატონ მერს აქვს განსაკუთრებულად კეთილგონივრული დამოკიდებულება მოსწავლე-ახალგაზრდობის მიმართ, არ გასცემს შეუსრულებელ დაპირებებს.

ახალგაზრდების სურვილების გათვალისწინება,მათი მოსმენა და აღიარება ხელს შეუწყობს მათ სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბებას,რაც თავისთავად აისახება ჩვენი ქვეყნის მომავალზე.

ეკა ჭიკაძე-ვეშაპიძე,
დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის ეკოკლუბ „ცასწავალას“ პედაგოგი

სპორტული ოჯახი, რომელსაც ბევრი საამაყო აქვს...

საგარეჯოს, გარეჯის მადლიან მიწას საქართველოსა და ქართული სპორტისათვის არაერთი გამორჩეული ფალავანი აღუზრდია და უზრდის. რომელთაც შორს, მსოფლიოში გაუთქვეს ჩვენს ქვეყანას სახელი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჭიდაობის ისტორიაში არ არსებობს არც ერთი სპორტული ტიტული, რომელიც ჩვენი პატარა კუთხის მოჭიდავეებს არ მოეპოვებინოთ. გასულ წლამდე ვეტერანებში ერთი მსოფლიო ჩემპიონი არ გვყოლია და შარშან ეს ტიტული მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ჭიდაობა სამბოში მამუკა კურდღელაშვილმა საფრანგეთიდან ჩამოგვიტანა, ამჯერად ძიუდოში. რომელი ერთი ვთქვათ. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში მძიმე წონაში და სსრკ-ს 18-გზის ჩემპიონი არსენ მეკოკიშვილი, ამავე სახეობაში ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ლევან თედიაშვილი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი სპარტაკ ქარსაულიძე, ევროპის ცხრაგზის ჩემპიონი ძიუდოში ანზორ კიკნაძე, ზემოხსენებული მამუკა კურდღელაშვილი, მსოფლიო, ევროპისა და სხვადასხვა საერთაშორისო ასპარეზობათა ჩემპიონები და პრიზიორები მანაველი გურამ გოგოლაური, ყანდაურელი გურამ სირაძე, კაკაბეთელები: ნოდარ ექვთიმიშვილი, უშანგი კუზანაშვილი, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ძიუდოისტი გივი ონაშვილი...

ზოგ-ზოგი ალბათ გაიკვირვებენ, მაინც რით არის სხვებზე „დამეტებული“ და გამორჩეული ჩვენი ეს პატივცემული ფალავანი?!

გეტყვით! ჯერ ერთი, არსენ მეკოკიშვილისა არ იყოს, გივიმ ჭიდაობა მომწიფებულობაში, სტუდენტობისას დაიწყო და სხვებივით პატარაობიდანვე არ უსწავლია ჭიდაობის ანა-ბანა, უცებ, მოულოდნელად შემოვარდა ქართულ ძიუდოში და თავისი ღირსეული კვალიც გაავლო მის ისტორიაში.

მეორეც, ამდენი ჩინ-მედლების მოპოვებასთან ერთად, გარეჯული , ქართული და თუ გნებავთ, მსოფლიო სპორტის ისტიორიაში ბევრს შეხვდებით გივი ონაშვილის მსგავს სპორტსმენებს, რომელთა ოჯახებს ნებისმიერი ქვეყნისათვის აღეზარდოს იმდენი წარმატებული სპორტსმენი, გივი ონაშვილის ოჯახმა რომ აღზარდა?! – არა მგონია და იქნებ ამით ეს ოჯახი ერთ-ერთი პირველი იყოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ?! და ვიდრე ამის მაგალითებს მოვიყვანდეთ, ვეცდებით ის წარმატებები შევახსენოთ ჩვენს მკითხველს, რომლებიც გივი ონაშვილს აქვს მოპოვებული თავისი არცთუ მრავალწლიანი აქტიური სპორტული საქმიანობის მანძილზე (1969-1976წწ).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭიდაობა მან შედარებით გვიან დაიწყო და პირველი დიდი წარმატება, რომელიც მოიპოვა, იყო 1969 წელს, 22 წლის ასაკში ბელგიის ქალაქ ოსტენდეში ძიუდოში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც შეძლო პირად პირველობაში ვერცხლის მედლის მოპოვება +93 კგ წონით კატეგორიაში. იმავე 1969 წელს მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში ძიუდოს მსოფლიო ჩემპიონატზე იგი ბრინჯაოს პრიზიორი ხცდება კვლავ ზემძიმე +93 კგ წონით კატეგორიაში.

1970 წელი, დასავლეთი ბერლინი. გივი ონაშვილი ჩემპიონი გახდა აქ გამართულ ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე (+93კგ).

1971 წელი, გეტებორგი, შვედეთი. სსრკ-ს ნაკრების ფავორიტი +93 კგ წონით კატეგორიაში მესამე პრიზიორის ტიტულით ტოვებს ევროპის ჩემპიონატს ძიუდოში.

1972 წელი, ნიდერლანდები. ვორფსბურგში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე გივი ონაშვილს სულ ცოტა დააკლდა ჩემპიონის ტიტულამდე და ტატამი ვერცხლის მედლით დატოვა.

1974 წელი. ჩვენებური ფალავანი მეორედ ადის ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულის კვარხლბეკზე დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში.

ფეხბედნიერი აღმოჩნდა გივი ონაშვილისათვის 1975 წელს, საფრანგეთის ქალაქ ლიონში გამართულ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა, სადაც მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი აბსოლუტურ წონით კატეგორიაში. სპორტული კარიერის დასასრულს, 1976 წელს იგი გახდა ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი და ამ ტიტულით დაემშვიდობა აქტიურ სპორტს, მაგრამ ეს არ არის ყველაფერი: გივი ონაშვილის, როგორც ქართველი ძიუდოისტის სპორტულ მიღწევებში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი მისი მონაწილეობა მიუნხენის (გფრ, 1972 წ) ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც თავის ჩვეულ +93 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭიდაობდა. აწ წონაში სულ 19 ძიუდოისტი ასპარეზობდა, რომლებიც ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი. მეთექვსედფინალში გივი ონაშვილმა დაამარცხა სენეგალელი მბაგნი მბოდი, შეხვედრის გარეშე გაიარა მევედფინალი, ხოლო მეოთხედფინალში დაამარცხა ძიუდოსა და ამომავალი მზის ქვეყნის – იაპონიის „ამომავალი ვარსკვლავი“ მოტოკი ნისიმურა და გავიდა ნახევარფინალში. აქ მისი მეტოქე იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელი კლაუს გლანნე, რომელთანაც არ გაუმართლა და საბოლოოდ მესამე ადგილის დაკავება შეძლო.

გარდა ზემოაღნიშნული წარმატებებისა, თბილისის ყოფილი „კოლმეურნესა“ და ცსკა სპორტსაზოგადოების წევრის სახელზეა ჰამბურგსა და პარიზში გამართული ორი საერთაშორისო ტურნირის ორი ვერცხლის მედალი. არის სსრკ-ს 1973 წლის ჩემპიონი და 1975 წლის ბრინჯაოს პრიზიორი ძიუდოში, ასევე სსრკ-ს ორგზის ჩემპიონი სამბოში (1970, 1972წწ). 1976 წელს მიენიჭა სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება, მოგვიანებით კი დაჯილდოვდა ღირსების კავალერის ორდენით.

ახლა, რაც შეეხება მისი ოჯახის სპორტსმენ წევრებსა და შვილებს, რაზედაც წერილის შესავალში ვაპელირებდით. სახელოვანი სპორტსმენის ოჯახის პირველი სიხარული – ნინო ონაშვილი თავის დროზე საქართველოს ბადროს მტყორცნელთა ნაკრების ფავორიტი და საიმედო ძალა იყო. სპორტს უკავშირდება მისი ოჯახის შექმნა საგარეჯოელ შუბისმტყორცნელ ამბროსი მატიაშვილთან ერთად, რომელსაც არანაკლები წარმატებები ჰქონდა მოპოვებული საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მათი ვაჟია ჩვენი ცნობილი ძიუდოისტი, სხვადასხვა ასაკში მსოფლიოს, ევროპისა და სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების ჩემპიონი და პრიზიორი, იაპონიის ძიგარო კანოს საერთაშორისო ტურნირის ვერცხლის მედალოსანი ლევან მატიაშვილი. შარშან, 2022 წლის დასასრულისათვის, თავისი დაბადებიდან 28-ე წელიწადში, ლევანი საგარეჯოს სახელით მონაწილეობდა საქართველოს ფალავნობაზე გამართულ ასპარეზობაში და მოიპოვა აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული, რომელიც სხვადასხვა მიზეზებით, აგერ 20 წელზე მეტია აღარ ჰქონიათ საგარეჯოელებს, ცხონებული კობა კუპატაძის შემდეგ. ამ წარმატებისათვის „გარეჯის მაცნეს“ რედაქციამ და საგარეჯოს სპორტგაერთიანებამ ლევანი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულის პირველ ნომრად დაასახელა.

საქართველოსა და ქართული სპორტის მშვენებაა ონაშვილების ოჯახის მეორე პირმშო, ირინა ონაშვილი, ქართველი მოდელი და ტელეწამყვანი, ორი ვაჟიშვილის ქართველი დედა. 2003 წელს მან „მის საქართველოს“ ტიტული მოიპოვა. ამავე წელს იგი „მის მსოფლიოს“ 20 ყველაზე ლამაზ გოგონას შორის დასახელდა და „მის ტალანტად“ აღიარეს. 2019 წელს მან გაიარა „კავკასიის უნივერსიტრეტის“ მაგისტრატურის პროგრამა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი დაასრულა. სახელი და პოპულარობა ვეტერანი პატარძეულელი ძიუდოისტის ქალიშვილს არასოდეს ეკლდა და აკლია. მისი ბოლოდროინდელი ყველაზე დიდი წარმატება კი სპორტს, კერძოდ ავტოსპორტს უკავშირდება. მან და ავტომრბოლელმა მეელუდ მელაძემ (თვითონ ირინა 1 წელია სპორტის ამ სახეობას მისდევს), მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის ქალაქ მარსელში პოლ რიკარდის „ფორმულა-1“-ის ტრეკზე საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) მიერ გამართულ ავტოსპორტის მსოფლიო ჩემპიონატში და შეძლეს ბრინჯაოს მედლების მოპოვება. მათ ეს მედლები მოიპოვეს ავტოსპორტის ისეთ რთულ სახეობაში, როგორიც ავტოსლალომია. მათი ეს გამარჯვება ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული ავტოსპორტის ისტორიაში, როგორც ქართველი ავტომრბოლელების პირველი გამარჯვება და პირველი მედლები ავტოსპორტის მსოფლიო ისტორიაში.

აი, მოკლედ ასეთია ჩვენი ვეტერანი პატარძეულელი ძიუდოისტის ოჯახის სპორტული ისტორია, ოჯახისა, რომელსაც საამაყო მართლაც ბევრი აქვს და მათი წარმატებებისა თუ წარუმატებლობებების მიზეზებზე, კურიოზებსა თუ თავგადასავლებზე, ეს პატარა წერილი კი არა, მთელი წიგნების დაწერა არ იკმარებდა.

კვლავ ჩემპიონის კვარცხლბეკზე

წარმატებული სტარტის წარმატებული შედეგი

შოთა ბაჩოშვილი საქართველოს ჩემპიონია

გასული 2022 წელი მნიშვნელოვანი წარმატებებით დაამთავრა ა(ა)იპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების“ მწვრთნელ მამუკა მათიაშვილისა და ნუკრი გაგნიაშვილის აღსაზრდელმა შოთა ბაჩოშვილმა. ამ წარმატებათა პირველი სიხარული მან სპორტული სეზონის გახსნისთანავე იზეიმა. თებერვალში თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ქვეჭიდში, 2007-2008 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებში შეძლო III საპრიზო ადგილისა და შესაბამისად ბრინჯაოს მედლის მოპოვება 46 კგ წონითოი კატეგორიის მოჭიდავეებში. სულ რაღაც ერთ თვეზე ნაკლებ დროში მან იგივე შედეგი აჩვენა 9 აპრილს გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე იგივე ასაკსა და წონით კატეგორიაში.

მაისში შოთა პრიზიორი გახდა ახმეტაში გამართულ კახეთის რეგიონულ; პირველობაში 2007-2008 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებს შორის და გახდა საქართველოს ამ წლიანთა ნაკრების წევრი. 2022 წლის დასაწყისში აღებული წარმატებული სტარტი ასევე წარმატებით გააგრძელა და დააგვირგვინა ევროპის თასის ,მოპოვებით უნგრეთში. მანამდე კი სლოვენიაში მოიპოვა ვერცხლის მედალი იგივე სახელობის შეჯიბრებაში.

შოთა ბაჩოშვილმა წარმატებული სტარტი აიღო მიმდინარე – 2023 წელსაც. 28-29 იანვარს თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრება 2006-2007 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ძიუდოისტებს შორის, სადაც იგი 50 კგ წონით კატეგორიაში სცდიდა თავის შესაძლებლობებს და მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება. 11-12 თებერვალს ჩატარებულ ჩემპიონატზე კი კვლავ წარმატებით იასპარეზა თავის ჩვეულ წონით კატეგორიაში, სადაც გამართული ხუთივე ორთაბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებით – იპონით დაასრულა. მათ შორის შოთამ ნახევარფინალში დაჯაბნა თელაველი ქალიაშვილი, ფინალში კი დაამარცხა წყალტუბოელი ომანაძე.

ვულოცავთ შოთას ამ დიდ გამარჯვებას და ვუსურვებთ ასევე წარმატებით ეასპარეზოს მომავალ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე.

გივი დაბახიშვილი

ჭადრაკი

რეგიონულ პირველობაზე

4-5 თებერვალს გურჯაანში ჩატარდა კახეთის რეგიონული ჩემპიონატი 16 და 18 წლამდელ ჭაბუკებსა და გოგონებს შორის. 16 წლიანთა შორის საუკეთესო შედეგი ჰქონდა ზუკა გამრეკელაშვილს (მწვრთნელ;ი ირაკლი ქვლივიძე), რომელმაც 7 ტურიდან 65 ქულით (6 მოგება 1 ყაიმი) პირველი იადგილი დაიკავა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. გამარჯვებულს შესაბამისი ჯილდო ქალთა შორის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა გადასცა.

მეორე ადგილი დაიკავა თელაველმა ალექსანდრე თაბერიძემ, მესამე – ასევე თელაველმა ანდრია არუთინოვმა.

ზურაბ აგულაშვილი

წარჩინებული, სწავლაში თავნასახელები ახალგაზრდები მედალოსნების დაჯილდოების საზეიმო ღონისძიება

23 თებერვალს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში, 2020-2021 სასწავლო წლის წარჩინებული კურსდამთავრებული - მედალოსნების დაჯილდოების საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

კურსდამთავრებულებს მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან პროგრამით გათვალისწინებული თანხა და საჩუქარი უკვე გადაეცათ, თუმცა პანდემიის გამო, მედლების საზეიმო ფორმატში გადაცემა ვერ მოხერხდა. მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, სიმბოლურად დიდი მწერლის - რევაზ ინანიშვილის ახლადრეაბილიტირებულ სახლ-მუზეუმში 37 წარჩინებული მედალოსანი დაჯილდოვდა.

ღონისძიებაზე წარჩინებულ ახალგაზრდებს სიტყვით მიმართეს და წარმატებები უსურვეს - ***კახეთის სახელმწიფო რწმუნებულმა, ბიორგი ალადაშვილმა, პარლამენტის წევრმა, დავით სონღულაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერმა ავთანდილ გულიკაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გილაშვილმა*** და ***საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ლელა ფანოზიშვილმა.***

დაჯილდოების საზეიმო ღონისძიება მუსიკალურად ადგილობრივმა შემოქმედებითმა გუნდმა "პატარა გარეჯელები" გააფორმა.

" ვეცადეთ, რომ დღევანდელი დღე, დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი ყოფილიყო თავისი ღირებულებებითა და მნიშვნელობით, მედალოსნის ტიტული თავისთავად განაპირობებს თქვენი უნარებისა და შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას. ამიტომ, მიზნისკენ სწრაფვის ტემპი არ უნდა შეანელოთ. თითოეულ თქვენგანს მადლობა მიღწეული წარმატებისთვის, მონდომებისთვის და სიბეჯითისთვის.

თქვენს არჩევანსა და პროფესიონალიზმზე დგას ქვეყნის მომავალი . ჩვენ -კი მზად ვართ შევქმნათ შესაბამისი გარემო თქვენი გეგმების რეალიზებისთვის" - აღნიშნა ავთანდილ გულიკაშვილმა.

ტრადიცია გრძელდება. 26 თებერვალს პატარა და დიდ ჩაილურში ჩატარდა სახალხო დღესასწაული ბერიკაობა

გვახსოვს ალბათ, 2018 წლამდე ბერიკაობა მხოლოდ პატარა ჩაილურში ტარდებოდა, რადგან იქ ბერიკების მსვლელობისა და კონცერტის შემდეგ ქართული ჭიდაობა იმართებოდა. ყველა სტუმარი ძალაუნებურად ჭიდაობაზე დასასწრებად ისწრაფოდა. 2018 წლიდან კი დიდ ჩაილურშიც სრულყოფილად იმართება ბერიკაობა, რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დიდი ჩაილურის მცხოვრებლებმა.

დიდ ჩაილურსაც უამრავი ტურისტი და სტუმარი ჰყავდა. სტუმრები იყვნენ ბულგარეთის საელჩოდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ეთნოგრაფები და ტურისტები. აქ წარმოდგენილი იყო კულინარიული ნაწილი, სტუმრები სინჯავდნენ ქადებს.

ღვინის დეგუსტაციამ მრავალი სტუმარი მიიზიდა. ტურისტები აცხობდნენ ქადებს, ავლებდნენ ჩურჩხელებს, აღდგენილ იქნა ლახტის თამაში, მონაწილეობდნენ თბილისის 90-ე და დიდი ჩაილურის საჯარო სკოლების მოსწავლეები. ლახტის თამაშის შემდეგ ლახტის მონაწილეებიც და გულშემატკივრებიც დამეგობრდნენ.

ქართულ ჭიდაობაში დიდჩაილურელების მიერ დაწესებული პრიზი ჭედილა კაკაბელმა ნუგზარ ჭიკაძემ მოიგო, ხოლო სანდრო სონიშვილმა პატარა ჩაილურში დაწესებული პრიზი – ჭედილა.

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს" გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე"
გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში" სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300
რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნე"-ში
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა შპს „კოლორ პრესს"-ში.
ტელეფონი: 599 851 143
ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com
gareji2011@mail.ru